9517/4-11/21 2 15092021

9517/4-11/21
15-09-2021

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს

ბატონ **დავით ზალკალიანს**

ბატონო დავით,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

რამდენი პირია დასაქმებული საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში? გთხოვთ, მონაცემები დიპლომატიური რანგების და დიპლომატიური თანამდებობების პირების მიხედვით მოგვაწოდოთ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნიკოლოზ სამხარაძე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

საქართველო

26957-01-2-202109301425

№ 01/26957
30/09/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ ნიკოლოზ სამხარაძეს

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2021 წლის 15 სექტემბრის № 9517/4-11/21 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ პოზიციებზე ფაქტობრივად დასაქმებულია 357 პირი, რომელთაგან დიპლომატიურ თანამდებობას იკავებს 292, ხოლო არადიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნულია 65 თანამშრომელი.

დიპლომატიური თანამდებობის პირთაგან:

- უმაღლეს დიპლომატიურ თანამდებობას იკავებს 62 თანამშრომელი;
- უფროს დიპლომატიურ თანამდებობას იკავებს 184 თანამშრომელი
- უმცროს დიპლომატიურ თანამდებობას იკავებს 46 თანამშრომელი
- პირველად დიპლომატიურ თანამდებობაზე არავინ არის დასაქმებული.

არადიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნულ პირთაგან 64 იკავებს ფინანსური მენეჯერის (მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი), ხოლო 1 - უსაფრთხოების ოფიცრის (პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი) თანამდებობას.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge